მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია - ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველი

DOI:10.36962/ECS107/3-5/2025-25

რევაზ ასათიანი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი, ნამდვილი წევრი

გურამ როგავა
იურისტი, ეკონომისტი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: ecoindivid@hotmail.com

ელიზაბედ ღაძაძე
სტაჟიორი

რეზიუმე

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირების სამმა ათწლეულმა აჩვენა, რომ მხოლოდ ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ე.წ. კომერციალიზაცია ვერ გახდება სოფლისა და სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების, სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მასობრივი უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის ერთადერთი საშუალება.

გლობალური სასურსათო კრიზისი მნიშვნელოვნად აძლიერებს სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დახმარებისა და რეგულირების მოტივაციას, რათა ამოქმედდეს ის ბერკეტები, რომლებიც არაა უზრუნველყოფილი თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმებით. მხოლოდ მრავალ ფაქტორთა ბალანსირებული მოქმედებით მიიღწევა აგროსასურსათო სექტორის ეფექტური მართვა, რაც საფუძველს უქმნის დაფინანსების ყველა სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალურ და გარანტირებულ რეალიზაციას.

საკვანძო სიტყვები: მაკროეკონომიკა, სტაბილიზაცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, ჩამრევი (მარეგულირებელი) სამსახურები, ფასები, აგროსასურსათო პროდუქცია, ექსპორტ-იმპორტი.

შესავალი

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია საქართველოსათვის, სადაც მეტისმეტად ღია ბაზარმა, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამმუშავებელი საწარმოებისა და სხვა მომსახურე დარგების მონოპოლიურმა მდგომარეობამ (განსაკუთრებით პურპროდუქტების სისტემაში, მეღვინეობაში, საკონსერვო მრეწველობაში, მინერალური სასუქების წარმოებაში და ა.შ.) და გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაცემამ – არსებითად შეარყია აგროსასურსათო სექტორის ეკონომიკური მდგომარეობა. ამ ფონზე ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა განხილული უნდა იქნეს ეკონომიკური უსაფრთხოების გადაწყვეტის საერთო მექანიზმებთან მჭიდრო კავშირში.

ძირითადი ტექსტი

როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ბაზარზე სტაბილური ფასი, რომელიც მწარმოებელს უბიძგებს წარმოების გადიდებისაკენ და ამავე დროს დაიცავს მომხმარებლის ინტერესებსაც? სწორედ აქ უნდა შეასრულოს სახელმწიფომ მარეგულირებელი როლი და მიაღწიოს იმ ფუნქციების განხორ-

ციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს ეფექტიანობას, ბაზრის მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების სამართლიან დაცვას და ქვეყანაში ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სტაბილურობას.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კერძო და კოოპერაციულ საკუთრებაზე დაფუძნებული მეურნეობების განვითარებას და აგროსასურსათო სექტორში საქონელმწარმოებლების რეალურ დასაქმებას. კერძოდ, იგი ახორციელებს და შეიმუშავებს სოფლად საბანკო სესხების გაცემა-დაფარვის, ურთიერთდახმარების სალაროების ჩამოყალიბების, აგროწარმოების სტიმულირების ხელშემწყობი საგადასახადო სისტემის პირობებსა და მექანიზმებს. ყოველივე ეს აგრარული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილებია, რომლის სრული რეალიზაციისათვის აუცილებელია:

– მოწეული პროდუქციისათვის გლეხმა (ფერმერმა) მიიღოს ისეთი შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მისი ოჯახის შენახვას, მისცემს მას პროდუქციის გაფართოებული წარმოების საშუალებას, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით;

– მოიხსნას/შემცირდეს პრობლემები კრედიტების ხელმისაწვდომობის, აგროტექსერვისის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (თესლის, მცენარეთა დაცვის, სასუქების, საწვავ-საცხები მასალების და სხვ.) უზრუნველყოფისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის სფეროში.

ეს საკითხები ტიპიურია და მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის მათი გადაწყვეტა მინდობილი აქვს მარეგულირებელ სტრუქტურებს, ანუ ბაზარზე ე.წ. ჩამრევ სამსახურებს, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროების დაქვემდებარებაში იმყოფებიან (სოფლის მეურნეობის, ფინანსთა, საგარეო ვაჭრობის). ისინი ერთსა და იმავე დროს არიან როგორც ადმინისტრაციული (მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობაში), ისე კომერციული ხასიათის დაწესებულებები. ჩამრევი სამსახურები ისე არიან ორგანიზებული, რომ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ მწარმოებლების, გამსაღებლების, მომხმარებლების შეკრებას და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებზე. ასეთი მარეგულირებელი სამსახურები არსებობს ერთმანეთისაგან ეკონომიკურად განსხვავებულ ქვეყნებში: აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ახალი ზელანდია, ალჟირი, ბრაზილია, თურქეთი, პოლონეთი და ა.შ.

როგორია ამ სამსახურების მეშვეობით პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების მექანიზმი?

მარეგულირებელი სამსახურები უზრუნველყოფენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს (კინგის კანონის თანახმად, მწარმოებლები, რომლებიც ბაზრიდან შორს არიან, ანუ ვერ ფლობენ ბაზრის მოთხოვნებს, კარგავენ ორიენტაციას და ფასის ფაქტორი აღარ ასრულებს იმ როლს, რომელიც უნდა შეასრულოს ბაზარსა და წარმოებას შორის ტენდენციების განსაზღვრისათვის).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს ასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას. ასევე აუცილებელია სახელმწიფო (ნახევრად ადმინისტრაციული, ნახევრად კომერციული) მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. ამიტომ, სასურველია ქვეყანაში შეიქმნას მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახური, ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში მაინც.

მარეგულირებელ სამსახურებს აქვთ იმის საშუალება, რომ საწყის ეტაპზე გააწონასწორონ მოთხოვნა-მიწოდება. ამასთან, ფასი უნდა დარჩეს ისეთ დონეზე, რომ აგრომწარმოებელმა მიიღოს, როგორც ცხოვრებისათვის, ისე პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო აუცილებელი შემოსავალი, ხოლო მომხმარებელმა თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს ხელმისაწვდომ ფასებში. ამდენად, სახელმწიფო სასურსათო ბაზარზე ზომიერი ინტერვენციით ქმნის გარანტირებული ფასების სისტემას და საქონელმწარმოებლებს აძლევს სტიმულს წარმოების გაფართოები-

სათვის. ეს ფასები გარანტიაა მათთვის, ვისაც უნდა ამ სფეროში ჩადოს კაპიტალი, ცოდნა და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასები ასრულებს პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაციის ფუნქციას. ფასების ცვლილებაზე ოპერატიული და ეფექტიანი ზეგავლენის მოხდენა კი განსაკუთრებით საჭიროა მოკლევადიანი საქმიანობის პირობებში. მაგალითად, თუ ქვეყნის წინაშე დაისახა რძისა და რძის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის ამოცანა (თუ მას ამ მიზნის მისაღწევად აქვს ყველა საშუალება), მარეგულირებელი სამსახურის ძირითადი ფუნქცია იქნება ისეთი თანმიმდევრული გეგმის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის საკვები კულტურების წარმოების გადიდებას და ფურების პროდუქტიულობის ზრდის ამოცანის გადაწყვეტას.

რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს ამ შემთხვევაში?

– გაიზრდება მწარმოებელთა დაინტერესება იმით, რომ რძის წარმოების გადიდების მიზნით შექმნან კოოპერატიული გაერთიანებები;

– შეიქმნება საჩვენებელი მეურნეობების ქსელი, რომელიც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ გამოვნახოთ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გზები (მაგ., მერძეული ძროხების კვების ეფექტიანი მეთოდები);

– გაიზრდება დაინტერესება მაღალპროდუქტიული ჯიშიანი ძროხების მოშენებაზე;

– გაჩნდება ფინანსური დაინტერესება (დაბალი სარგებლის პროცენტიანი სესხების, თანამედროვე საწველი აპარატების შეძენისა და ნახირის სულადობის გასაზრდელად, სადგომების ასაშენებლად და სხვ.).

გარდა ამისა, მარეგულირებელი სამსახურები შეიძლება ჩაერთონ სხვა ისეთ საკითხებშიც, როგორიცაა:

– პროდუქციის საწარმოო ხარჯების შემცირება;

– პროდუქციის მისადაგება ბაზრის მოთხოვნილებასთან;

– მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოების განვითარება.

რატომაა აუცილებელი ასეთი სამსახურების შექმნა საქართველოში? უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი დონის, სასურსათო დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროებისა და სურსათზე ფასების პერმანენტული ზრდის მინიმიზაციის გამო.

2023 წელს საქართველოში იმპორტირებული იყო 2022,1 მლნ აშშ დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია, ხოლო ექსპორტმა 1437,1 მლნ დოლარი შეადგინა. მთლიანად, 2010 წლის შემდეგ პერიოდში საქართველოში იმპორტირებული აგროსასურსათო პროდუქციის ჯამურმა ღირებულებამ შესაბამისი პერიოდისა და პროფილის ექსპორტს 5,0 მლრდ დოლარით გადააჭარბა. 2023 წელს აგროსასურსათო საქონლის იმპორტმა 2022,1 მლნ დოლარი (მთლიანი იმპორტის 13,1%), ხოლო ექსპორტმა 1437,1 მლნ დოლარი შეადგინა **(დიაგრამა 1).**

დიაგრამა 1

სურსათის ზოგიერთი სახეობის იმპორტის დინამიკა 2020-2023 წლებში (მლნ აშშ დოლარი)



რამდენადაც ჩამრევი სამსახურები ხელს უწყობენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების

სტაბილურობას, ქვეყანაში უნდა შეიქმნას ერთი, ან რამდენიმე მარეგულირებელი სამსახური – მარცვლეულის (ხორბალი), მეცხოველეობის პროდუქციის (ხორცი და რძე) და სხვა პროდუქტების წარმოების სფეროში.

იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ჩამრევი სამსახურები ჭარბწარმოების პირობებში მუშაობენ, საქართველოში მათ ფუნქციონირება საპირისპირო პირობებში მოუწევთ. ამიტომ ამოცანებიც განსხვავებული ექნებათ. კერძოდ, მათ უნდა განსაზღვრონ ქვეყანაში წარმოებული საქონლის მოსალოდნელი რესურსები დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის, შეაფასონ (შეისწავლონ) მოსახლეობის მოთხოვნილება ამა თუ იმ პროდუქტზე, ბალანსური გაანგარიშების საფუძველზე წინასწარ დაადგინონ იმპორტის მოცულობა, რომელიც საჭირო იქნება ბაზარზე მოთხოვნა-მინოდების რაოდენობრივი თანაფარდობის შენარჩუნებისთვის. მარეგულირებელი სამსახურების ფუნქციონირებას მხოლოდ მაშინ მოაქვს სასურველი ეფექტი, თუ იგი ხორციელდება სისტემურად და კომპლექსურად.

გასული საუკუნის 90-იან წლებში აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერა გადასახადის გადამხდელებს მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 350 მლრდ დოლარი უჯდებოდათ. ყველაზე მეტი ოდენობით მხარდაჭერა ჰქონდათ და დღესაც აქვთ ევროკავშირის ქვეყნებს, იაპონიას, არაბულ სამყაროს. არსებული მონაცემებით, სოფლის საქონელმწარმოებლებისადმი სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის ყველაზე დაბალი დონეა ახალ ზელანდიაში (3%), ავსტრალიაში (10%), აშშ-ში (21%) და კანადაში (27%), მით უფრო, რომ ეს ქვეყნები ხასიათდება მკვეთრად გამოხატული საექსპორტო ორიენტაციით. სოფლის საქონელმწარმოებლები ყველაზე მეტ ფინანსურ მხარდაჭერას ღებულობენ შვედეთში (82%), ნორვეგიაში (75%) და იაპონიაში (74%), ე.ი. ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლისათვის არახელსაყრელ ბუნებრივ კლიმატურ პირობებში და ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ საკუთარი წარმოების ხარჯზე.

ზოგადად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსოციალისტურ ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებში სურსათის მოხმარების უფრო დაბალი დონის ბუნება (მოსახლეობის დაქვეითებული მსყიდველობითუნარიანობა) მეტნაკლებად ერთნაირია პრობლემის სიმწვავის აბსოლუტურად სხვადასხვა დონის პირობებში. თუმცა, ამ პრობლემის ფორმირების გზები პრინციპულად განსხვავებულია და, მაშასადამე, მიდგომებიც მისი გადაწყვეტისადმი არ შეიძლება იყოს დასესხებული უკვე აპრობირებული არსენალიდან.

განვითარებად ქვეყნებში უღარიბესი გლეხობისათვის მიწის გამოყოფა რიგ შემთხვევებში იწვევს წარმოებისა და მოხმარების ზრდას. მხარდაჭერის ასეთი ვარიანტი გარკვეულად შესაძლებელი გახდა ჩინეთსა და ალბანეთში. ორივე ქვეყანაში გლეხებისათვის მისაწვდომი გახდა თავისი შრომის ძირითადი საშუალება – მიწა. პირველ შემთხვევაში პრივატიზაციის გარეშე, ხოლო მეორეში პრივატიზების გზით და ეს „გადმოიღვარა“ ამ ქვეყნებში სურსათის წარმოებისა და მოხმარების მკვეთრ ზრდაში. ეს სავსებით კანონზომიერი შედეგია, რამდენადაც ორივე ქვეყნის ეკონომიკას ჰქონდა უპირატესად აგრარული მიმართულება. გლეხები სჭარბობდნენ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში და მიწა იკავებდა ძირითად ადგილს სასოფლო-სამეურნეო ფონდების სტრუქტურაში. ამასთან, მიწის მიღებით გლეხებმა გაადიდეს წარმოება, უწინარესად, საკუთარი მოხმარებისათვის. გარდა ამისა, სასურსათო ბაზრის მაღალგანვითარებულ ინფრასტრუქტურას მიუჩვეველი ქალაქის მოსახლეობის დაბალი ხვედრითი წილის წყალობით, სასურსათო მოხმარება ქალაქადაც რამდენადმე ამაღლდა.

სრულიად სხვაგვარი იყო ვითარება აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერისა ინდუსტრიულ-აგრარული მიმართულების ეკონომიკის მქონე ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში და კერძოდ, საქართველოში. აქ სოფლის მოსახლეობის ხელმისაწვდომობამ მიწისადმი და აგრარული ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, მართალია, შესაძლებელი გახადა სოფლის მცხოვრებთა სასურსათო მოხმარების დონის ამაღლება, მაგრამ, ამის პარალელურად, შემცირდა ქალაქის მცხოვრებთა მიერ საბაზისო კვების პროდუქტების საშუალო მოხმარება.

ასეთ სიტუაციაში სასურსათო მოხმარების ზრდის საკითხის გადაწყვეტა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მათ შორის, საქართველოში არ შეიძლება დამოკიდებული იყოს არც მიწის შემდგომი გადანაწილებისა და არც აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი სუბსიდირების გაძლიერებაზე. საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების განუხრელი ზრდის პირობებში.

ამრიგად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზების ვითარებაში, უმთავრესია ქვეყნის საერთო მაკროეკონომიკური განვითარება და როგორც ლოგიკური შედეგი – მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და, შესაბამისად, სურსათზე ხელმისაწვდომობის ზრდა. სწორედ იგი უნდა გახდეს ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც მთავარ ფუნქციას იტვირთებს აგროსასურსათო სექტორის ეროვნული ინოვაციური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების საქმეში.

თანამედროვე პირობებში საქართველოს აგროსასურსათო სექტორი საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭერას, რადგან საკუთარი რესურსებით მისი პოტენციალის სრულად ამოქმედებას შეიძლება რამდენიმე ათეული წელი დასჭირდეს. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, მისი პოტენციალი არ შეესაბამება ბოლო წლებში ჩამოყალიბებულ დარგობრივ სტრუქტურას (აგრარულ-ინდუსტრიული) და ამდენად, ის არ შეიძლება მომავალში დღევანდელ დონეზე დარჩეს.

საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში, მცირე სიდიდის ფერმათა სიჭარბე არ არის საგანგაშო, რადგან ჩვენში, ისევე როგორც ქვეყნების უმრავლესობაში, მათი ოპტიმალური სიდიდე ადგილობრივი (ჩვენ შემთხვევაში მრავალფეროვანი) ბიოგეოკლიმატური პირობებით, კულტურათა სიმრავლითა და მათი მოვლა-მოყვანის სპეციფიკურობითაა განპირობებული. თუმცა, ფინანსური მხარდაჭერის გარეშე მცირე ფერმერული მეურნეობების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ დაბალ ტექნოლოგიურ დონეზე, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ განვითარებას.

მცირე აგრომეურნეობათა ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი გზა არის მიწაზე მეურნეობრიობის კოოპერაციული ფორმის დაფუძნება და მათი ინტეგრაცია გადამმუშავებელ საწარმოებთან. მეურნეობრიობის კოოპერაციული ფორმა გარკვეულწილად ხსნის როგორც მიწის დამუშავების, ასევე წარმოებული პროდუქციის გადამუშავებისა და რეალიზაციის პრობლემებს, საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპზე აგროწარმოების კონცენტრაციის უფრო მაღალი დონის მქონე სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების შექმნას. თუ თვალს გადავავლებთ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას, დავინახავთ, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე ინდივიდუალურის. განვითარების ეტაპების მიხედვით საწარმოო ურთიერთობების, ისევე როგორც საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების ცვლილებები, სწორედ კოოპერაციული ინსტიტუტის დამკვიდრებასა და გაძლიერებასთანაა დაკავშირებული.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფასია. როგორც დასავლეთის გამოცდილება გვიჩვენებს, საკუთარი წარმოების სასურსათო უზრუნველყოფა უნდა გახდეს საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანა, რასაც შეუძლია მულტიპლიკაციური ეფექტის მოცემა და გაძლიერებული მიგრაციის პროცესში მყოფი სოფლის გადარჩენა. თუ გვსურს 2030 წლისთვის მივაღწიოთ გაწონასწორებულ სავაჭრო ბალანსს, მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რათა, შემცირდეს სურსათისათვის იმპორტისათვის ვალუტის ზედმეტი ხარჯვა.

სურსათის ადგილობრივი რესურსების წარმოების გადიდება, ობიექტურად მოითხოვს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისათვის საჭირო პროდუქტების წარმოებას. უნდა გვახსოვდეს 1990-ანი წლების აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ვალუტის მოპოვების მცდარი სტრატეგია, როდესაც ყურადღების მიღმა დარჩა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აგრარული სექტორი. ვალუტის მოპოვება ქვეყნისათვის ე.წ. მეორადი ამოცანაა და ასეც უნდა იყოს. ქვეყნის ეკონომიკაც და მათ შორის სოფლის მეურნეობაც,

ისე უნდა წარიმართოს, რომ იგი უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

როგორ უნდა დაინტერესდეს მწარმოებელი სწორედ იმ პროდუქტის წარმოებით, რომელიც განვითარების ამა თუ იმ სტადიაზე სჭირდება საზოგადოებას და რომელიც უფრო ხელსაყრელია ქვეყნისათვის და საბოლოო ანგარიშით, თვით მწარმოებლისთვისაც?

ამ პრობლემას ყველა ქვეყანაში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით წყვეტენ, თუმცა მიდგომა პრაქტიკულად ყველგან ერთნაირია. კერძოდ, ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელმწიფო ატარებს მიზანმიმართულ პოლიტიკას ან მთელი აგრარული სექტორის, ან მისი ცალკეული დარგების მიმართ. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდამჭერი პოლიტიკა ბევრ ქვეყანაში კანონის რანგშია აყვანილი და როგორც წესი, გამიზნულია ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ჩვენში ასეთი პოლიტიკა სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ჯერ არ არის შემუშავებული და, ბუნებრივია, არც ხორციელდება. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, უკანასკნელ პერიოდში აგრარულ და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების ისეთი პარიტეტი ჩამოყალიბდა, რომელიც ამ უკანასკნელისათვის სასარგებლოა. არაფერს ვამბობთ სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოუგვარებლობაზე, ხარისხიანი თესლითა და ჯიშიანი პირუტყვით უზრუნველყოფაზე და სხვა იმ საკითხებზე, რომლებიც ნორმალურ პირობებში სახელმწიფოს ხელშეწყობით უნდა რეგულირდებოდეს.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში მთავარი როლი უნდა მიენიჭოს აგრობიზნესის სტრატეგიულ დარგებში დაკრედიტების (გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი), პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის პროგრამების, მარეგულირებელი სტრუქტურების ფორმირების პროექტების დაფინანსების საკითხს. პრობლემათა გადაწყვეტა მთავრობის ნებაზე და აგრარული სექტორის დარგების განვითარების ყოველმხრივ შეჯერებული პროგრამების შემუშავება-რეალიზაციაზეა დამოკიდებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აგროსასურსათო სექტორში:

ა) სახელმწიფო რეგულირების მიზანია:

– ქვეყანაში ანტიინფლაციური და ანტიმონოპოლიური ღონისძიებებს გატარება;
– საქონელმწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა;
– სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფო რეგულირების ბერკეტები და ინსტრუმენტებია:

– ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება;
– ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა;
– წარმოებული პროდუქციის სახელმწიფო სავალდებულო მიყიდვა.

გ) ანტიინფლაციური პოლიტიკა მიმართულია:

– ბრუნვაში დამატებითი ფულადი მასის გაშვებაზე;
– ბრუნვიდან ფულადი მასის ამოღებაზე;
– ბაზარზე ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაზე;
– ინვესტიციების მოზიდვაზე.

დ) სახელმწიფო მხარდაჭერა ხორციელდება:

– დოტაციით და კომპენსაციით;
– სუბვენციების გამოყენებით;
– პირდაპირი ფინანსირებით;

ე) მხარდაჭერისათვის გამოიყენება:

– წარმოების მოცულობათა კვოტირების სისტემა;
– მიწის სავარგულების დამატებითი შეყვანა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში;
– საქონელმწარმოებელთა არაპირდაპირი სუბსიდირება;
– სოფლის მეურნეობის პროდუქციის იძულებითი შესყიდვის სქემა.

დასკვნა

მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია არის ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების ერთადერთი გზა, რამდენადაც ეკონომიკის ზრდა განაპირობებს მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და შესაბამისად, გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს აგროსასურსათო სექტორის განვითარებას. შექმნილ სიტუაციაში საჭიროა ხუთწლიანი პერიოდისათვის სასურსათო დარგების განვითარების ხელშემწყობი პირობების შემუშავება, როგორც ეკონომიკურ-ფინანსური, ისე ორგანიზაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, რომელიც უნდა მოიცავდეს საგადასახადო, სადაზღვევო და საკრედიტო სტიმულებს. შესაძლებელია პროდუქციის მწარმოებლებთან ფიუჩერსული კონტრაქტების გაფორმების საფუძველზე გარანტირებული ფასების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფისა და სხვა პირობების (განვადებით შეძენა და სხვ.) წინასწარ განსაზღვრა. ორგანიზაციული თვალსაზრისით მხედველობაში გვაქვს სრულფასოვანი საბითუმო ბაზრების ორგანიზება რაიონულ ჭრილში და მსხვილ ქალაქებში, რომელსაც სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების მაღალი კონცენტრაციის უზრუნველყოფა შეუძლია, ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით – შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

სახელმწიფომ ბაზარზე მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიაღწიოს, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სტრუქტურების შექმნით – მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურები, სასაქონლო ბირჟები, სავაჭრო სახლები, საბითუმო ბაზრები, კომერციული ცენტრები, სააგენტოები, საგარანტიო ფონდები, დარგობრივი ასოციაციები, კავშირები, საკონსულტაციო-სასნავლო ცენტრები და სხვ. ასევე, ეფექტური საგადასახადო, სადაზღვევო, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., კოღუაშვილი პ. – საქართველოს სოფლის მეურნეობა – გამოწვევები და პერსპექტივები. თბილისი, 2023 წ. (მონოგრაფია);

2. ასათიანი რ., კოღუაშვილი პ. - ინდუსტრიული სოფელი - მომავლის გლობალური გამოწვ ევა, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024 (მონოგრაფია)

3. ასათიანი რ. – სოფლისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი მოდერნიზაციის 5 მაკრო პრიორიტეტი. //საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“, N1-2, თბილისი, 2023 წ.;

4. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2020 წელს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. URL:https://www.geostat.ge/media/41097/დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, pdf. 2020 წ.;

5. ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა (ძირითადი პრინციპების გამოყენება, ათვისებული გაკვეთილების გაზიარება, გამოცდილების გაცვლა). ევროკავშირის ოფიციალურ გამოცემათა ოფისი. L-2985, ლუქსემბურგი;

6. ვანდა ბარანსკა, მარჩინ გრენდა, ანტონ ჰაიდაჩუკი და სხვ. – სახელმძღვანელო კონსულტანტებისათვის სოფლის მეურნეობაში. სტაროე პოლე, 2008 წ., 133 გვ.;

7. კოღუაშვილი პ., არჩვაძე ი. – „საქართველოს სოფლის მეურნეობა აქტუალური გამოწვევების წინაშე“, 2020 წ.;

8. კოღუაშვილი პ. – საქართველოს სასურსათო უშიშროება, რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2014 წ.;

9. კოღუაშვილი პ., ფანჩულიძე ჯ. – მიწის ადმინისტრირება და მიწათსარგებლობის მონიტორინგი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2023 წ.;

10. რევიშვილი ზურაბ – საქართველოს აგრარული პოლიტიკის მოდელისა და სტრატეგიის დადგენისა და განხორციელების საკითხები. პ. გუგუშვილის ეკონომიკისა და სამართლის სკი შრომათა კრებული, თბილისი, 2012 წ.;

11. ჭითანავა ნ. – გლობალური პროცესები ერთპოლუსიან მსოფლიოში – საქართველოს ეკონომიკის როლი და უხილავი პრობლემები. თბილისი, 2021 წ., (მონოგრაფია);

REFERENCES:

1. **Asatiani, R., Koguashvili, P. –** Agriculture of Georgia: Challenges and Perspectives. Tbilisi, 2023. (Monograph)

2. **Asatiani, R., Koguashvili, P.** – The Industrial Village: A Global Challenge for the Future. Tbilisi, "Meridiani" Publishing, 2024. (Monograph)

3.**Asatiani, R.** – 5 Macro Priorities for the Rapid Modernization of Rural Areas and Agriculture. // International Scientific magazine "Kvali", No. 1-2, Tbilisi, 2023.

4.Demographic Situation in Georgia in 2020. National Statistics Office of Georgia. URL: https://www.geostat.ge/media/41097/დემოგრაფიული ვითარება საქართველოში.pdf. 2020 წ.;

5.European Union Regional Policy (Application of key principles, sharing of lessons learned, exchange of experiences). European Union Publications Office. L-2985, Luxembourg.

6.**Vanda Baranska, Marchin Grenda**, **Anton Haidachu**k, etc. – "Handbook for Agricultural Consultants". Staro Pole, 2008, 133 p.;

7.**Koghuashvili, P., Archvadze, I.** - "Georgia's agriculture facing actual challenges", 2020;

8.**Koguashvili, P.** – Food Security in Georgia: Reality and Forecasts. Tbilisi, 2014.

9.**Koguashvili, P., Panchulidze, J**. – Land Administration and Land Use Monitoring. Publishing House "Technical University," Tbilisi, 2023.

10.**Revishvili Zurab** – the Issues of establishing and implementing the Georgian agrarian policy model and Strategy. P. Gugushvili's collection of works in economics and law, Tbilisi, 2012.

11. **Chitanava, N.** – Global processes in a unipolar world: Georgia's economic role and invisible problems. Tbilisi, 2021. (Monograph)

MACROECONOMIC STABILIZATION: THE FOUNDATION OF A COUNTRY'S ECONOMIC SECURITY

Revaz Asatiani
Academician (Full Member) of the Georgian
Academy of Agricultural Sciences,
Guram Rogava
Lawyer, Economist (Doctor of Economic Sciences),
E-mail: ecoindivid@hotmail.com
Elizabeth Gadzadze
Intern

RESUME

Three decades of functioning in the conditions of the market economy in Georgia have demonstrated that only the liberalization of the economy and the so-called commercialization cannot become the only means of accelerating the development of the countryside and agriculture, improving the socio-economic condition of the rural population, and overcoming mass unemployment and poverty.

The global food crisis significantly strengthens the state's motivation to support and regulate agriculture, activating the levers not provided by self-regulating market mechanisms.

Effective management of the agri-food sector can only be achieved through a balanced approach to multiple factors, this creates the basis for the maximum and guaranteed realization of the socio-economic interests of all financial entities.

Keywords: macroeconomics, stabilization, economic security, regulatory agencies, prices, agri-food products, export-import.